პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 6 ოქტომბერი, 1943 წ. № 209 (6834). ფასი 20 კაპ.

საუკეთესოდ მოვამზადოთ ციტრუსოვანი ნარგავები და ნერგები ზამთრისათვის

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმმა სერიოზული ამოცანები დაუსახა ციტრუსოვანთა მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის. სუბტროპიკული რაიონების პარტიული ორგანიზაციები, საბჭოთა და სამეწარმოო-მოქმედო ორგანოები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები თვალსაჩინო მუშაობას ეწევიან IX პლენუმის გადაწყვეტილების განსახორციელებლად. ისეთი სამუშაოები, როგორიც არის ნიადაგის გაფხვიერება, პლანტაციების გაწმენდა სარეველა ბალახებისაგან, შეწამლვა, გულმოდგინედ ჩატარდა. სერიოზული ყურადღება ექცევა ციტრუსოვანთა ნარგავების დაცვას, მოვლა-პატრონობის შემდგომი გაუმჯობესების საქმეს. საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმის გადაწყვეტილების განუხრელად განხორციელების საფუძველზე აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და მახარაძის რაიონში გაუმჯობესდა ციტრუსოვანი ნერგებისა და ნარგავების მოვლა.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმმა კონკრეტული ღონისძიებანი დასახა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის. ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღონისძიებად დასახულია ციტრუსების ნერგეზისა და ნარგავების დაცვა ყინვებისაგან. ცნობილია, რომ 1941-42 წლის ზამთრის ძლიერმა ყინვებმა ზოგან სერიოზულად დააზიანა ციტრუსოვანი ნარგავები. ეს იმიტომ, მოხდა, რომ ცალკეულ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ზამთარმა მოუმზადებელს მოუსწრო. სუბტროპიკული რაიონების პარტიულმა და არაპარტიულმა ბოლშევიკებმა 1941-42 წლის ზამთრის გაკვეთილიდან სათანადო დასკვნა უნდა გააკეთონ. საბრძოლო ამოცანა ახლა ის არის, რომ ამთავითვე სამხედრო ტემპებით გავაჩაღოთ მზადება და უზრუნველყოთ ციტრუსოვანი ნარგავებისა და ნერგების საუკეთესოდ გამოზამთრება. ციტრუსოვანთა თვალწარმტაც ბაღნარებში მთელი მუშაობა ისე უნდა წარვმართოთ, რომ ყინვისაგან არ დაზიანდეს არც ერთი ციტრუსოვანი ნარგავი, არც ერთი ნერგი.

მოწინავე კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები უკვე შეუდგნენ მზადებას ციტრუსების ყინვებისაგან დასაცავად. გონიოს ლიმონტრესტის საბჭოთა მეურნეობაში უკვე დაამზადეს საჭირო რაოდენობით ბიჯგები, სარები, იმარაგებენ შესაფუთავ მასალას. ასევე კარგად ემზადება ლიმონტრესტის კოლხიდის საბჭოთა მეურნეობა. მაგრამ ზოგან ჯერ კიდევ საადრეოდ სთვლიან მზადების გაჩაღებას და ამით აიხსნება, რომ ანაკლიის საბჭოთა მეურნეობაში მოსამზადებელი მუშაობა შეუწყნარებლივ ნელი ტემპებით მიმდინარეობს. დაყოვნება ამ საქმეში შეუწყნარებელია.

საჭიროა სერიოზული ყურადღება მივაქციოთ საშემოდგომო სამუშაოთა თავის დროზე და მაღალხარისხოვნად შესრულებას, ყველგან უზრუნველყოთ ციტრუსოვანი ნარგავებისა და ნერგების საუკეთესოდ მოვლა, რადგან ციტრუსოვანი ხეებისა და ნერგების ყინვაგამძლეობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მათი მოვლის ყველა აგროტექნიკურ ღონისძიებათა დროულად და მაღალხარისხოვნად გატარებაზე. ყოველი კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის, აგრონომის ღირსების საქმეა ყოველდღიურად იმუშაოს ციტრუსების საკითხებზე და აგროტექნიკურ ღონისძიებათა განუხრელად განხორციელებით ციტრუსოვანი ხეები უფრო გამძლე და ამტანი გახადოს ყინვებისადმი.

საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა გადასინჯა ციტრუსოვანი ნარგავებისა და ნერგების ყინვისაგან დაცვის 1941-42 წლის ინსტრუქცია და შეიტანა შიგ ზოგიერთი ცვლილებანი. საჭიროა ეს ინსტრუქცია საფუძვლიანად გავაცნოთ მეციტრუსე კოლმეურნეებსა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებს და მტკიცედ განვახორციელოთ იგი.

ციტრუსების ყინვისადმი გამძლეობის უნარის გადიდების მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს მათი ზრდის დასრულება ყინვის დაწყებამდე და ახალგაზრდა ყლორტების გახევება. ამიტომ, თუ ყლორტების ზრდა გაგრძელდა, ოქტომბერში უნდა ვაწარმოოთ მათი წაჩქმეტა, ნოემბერში კი გაზრდილი ყლორტი მთლიანად უნდა მოვაცილოთ. ყველა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ საკმაო რაოდენობით უნდა მოიმარაგოს ბიჯგები, სარები. ხის ტოტების თოვლისაგან დამტვრევის თავიდან ასაცილებლად და ქარებისაგან დასაცავად ციტრუსოვანთა ნაყოფის კრეფის შემდეგ უნდა ჩავატაროთ ტოტების აკვრა. ახალგაზრდა პლანტაციებში ხის ტოტები სარზე უნდა მივამაგროთ. ციტრუსოვანთა ნარგავების ყინვებისაგან დაცვის პირდაპირი ღონისძიებებია: მიწის შემოყრა, ინდივიდუალური საფარები, ღია გათბობა. ამიტომ სუბტროპიკული რაიონების პარტიულმა და არაპარტიულმა ბოლშევიკებმა ამ სამუშაოების დროულად ჩატარებას დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ. მიწის შემოყრის სამუშაოები იწყება 1 ნოემბრიდან. ჯერ კიდევ საკმარისი დრო არის იმისათვის, რომ ყოველმხრივ მომზადებული შევხვდეთ და კარგად ჩავატაროთ ეს მნიშვნელოვანი ღონისძიება. ხეების ინდივიდუალური შეფუთვისათვის ციტრუსოვანი ნარგავების მქონე კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, განსაკუთრებით იმ ნაკვეთებზე, რომლებიც ძლიერი და ცივი ქარების გავლენას განიცდიან,—უნდა გამოიყენონ ლაქაში, ლერწამი, ისლი, ბამბუკისა და წყავის ტოტები, ჭილობი, გვიმრა და სხვ. ღია გათბობას, რაც სწარმოებს ნიკიფოროვის კონსტრუქციის მათბურებით, სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს. მაგრამ ზოგიერთ საბჭოთა მეურნეობაში ჯერ კიდევ სრულ წესრიგში არ მოუყვანიათ მათბურები. საჭიროა ეს ნაკლი სასწრაფოდ გამოვასწოროთ. ციტრუსების საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებმა მათბურების შეკეთებასთან ერთად საჭირო რაოდენობით უნდა მოიმარაგონ საწვავი მასალა.

გულმოდგინე მუშაობას მოითხოვს ნერგების დაცვა ყინვებისაგან, როგორც ფარდულებში ისე ღია გრუნტზე. როგორც წესი, ციტრუსოვანი ნერგები ზამთრის განმავლობაში ინახება სპეციალურად მომზადებულ ფარდულებში. ფარდულების სრულ წესრიგში მოსაყვანად მუშაობა ამთავითვე უნდა გაიშალოს. ფარდულების შესაკეთებლად ადგილებზე საჭიროა ფარდოდ გამოიყენონ შინაგანი რესურსები და თავის დროზე უზრუნველჰყონ ფარდულებში საჭირო სითბო. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ამჟამად გაძლიერებული ტემპებით უნდა აწარმოონ თხრილების გაწმენდა და სრულ წესრიგში მოიყვანონ სადრენაჟო ქსელი.

ციტრუსოვანი კულტურების მოსავალს წელს საუკეთესო პირი უჩანს. ყოველმხრივ მომზადებული შევხვდეთ ციტრუსოვანთა ნაყოფის კრეფას, მთელი მოსავალი უდანაკარგოდ ავიღოთ და საუკეთესოდ მოვამზადოთ ციტრუსოვანი ნერგები და ნარგავები ზამთრისათვის. მივცეთ ჩვენს ქვეყანას და ფრონტს მეტი მანდარინი, ფორთოხალი და ლიმონი.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მუშაკთა დაჯილდოება სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით

სამამულო ომის პერიოდში მთავრობის დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებულია სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის და მისი ადგილობრივი ორგანოების მუშაკთა ჯგუფი. დაჯილდოებულთა შორის არიან:

წითელი დროშის ორდენით

1. **კარანაძე** გრიგოლ თეოფილეს-ძე—სახელმწიფო უშიშროების კომისარი
2. **ჭობულოვი** ამაიაკ ზაქარიას-ძე—სახელმწიფო უშიშროების მე-3 რანგის კომისარი
3. **კოპლავაშვილი** ალექსანდრე ივანეს-ძე—სახელმწიფო უშიშროების პოლკოვნიკი
4. **მამულოვი** სტეფანე სოლომონის-ძე—სახელმწიფო უშიშროების მე-3 რანგის კომისარი.

შრომის წითელი დროშის ორდენით

1. **რობიტაშვილი** გიორგი ვლადიმერის-ძე—სახელმწიფო უშიშროების მაიორი.

წითელი ვარსკვლავის ორდენით

1. **ფალინი** იასონ ამბროსის-ძე—სახელმწიფო უშიშროების პოლკოვნიკი
2. **გოგია** შალვა თეიმურაზის-ძე—სახელმწიფო უშიშროების პოდპოლკოვნიკი
3. **ბაიანდურაფი** გრიგოლ ზაქარიას-ძე—სახელმწიფო უშიშროების პოდპოლკოვნიკი
4. **ყვაშალი** ალექსანდრე ნოეს-ძე—სახელმწიფო უშიშროების კაპიტანი
5. **დიოქტეი** ნიკოლოზ კონსტანტინეს-ძე—პოდპოლკოვნიკი
6. **მათუა** ანტონ მაქსიმეს-ძე—სახელმწიფო უშიშროების პოდპოლკოვნიკი
7. **სარუხანიშვილი** ვლადიმერ ნიკოლოზის-ძე—მილიციის პოლკოვნიკი
8. **ფოფხაძე** ივანე ზოსიმეს-ძე—მილიციის მაიორი.

„საპატიო ნიშნის“ ორდენით

1. **გულსტი** ზინონი ნაუმის-ძე—სახელმწიფო უშიშროების პოდპოლკოვნიკი
2. **კუდუხაშვილი** ზაქარია მელიტონის-ძე—მილიციის პოდპოლკოვნიკი
3. **სარქისოვი** რუბენ არშაკის-ძე—სახელმწიფო უშიშროების პოდპოლკოვნიკი
4. **ბაბუნაშვილი** გრიგოლ სიმონის-ძე—სახელმწიფო უშიშროების მაიორი
5. **იამანიძე** შალვა ალექსანდრეს-ძე—სახელმწიფო უშიშროების კაპიტანი
6. **ლებედევი** ალექსანდრე ივანეს-ძე—პოდპოლკოვნიკი
7. **ოყროშიძე** ვასილ ნიკოლოზის-ძე—სახელმწიფო უშიშროების პოდპოლკოვნიკი
8. **მელაძე** ივანე ნიკოლოზის-ძე—სახელმწიფო უშიშროების პოდპოლკოვნიკი
9. **კობეშავიძე** ივანე ოქროპირის-ძე—სახელმწიფო უშიშროების პოდპოლკოვნიკი
10. **სიხარულიძე** ვასილ ალმასხანის-ძე—მილიციის მაიორი
11. **იბრაგიმოვი** მადათ იბრაგიმ ოღლი—მილიციის კაპიტანი
12. **ალხაზოვი** რუბენ დავითის-ძე—მილიციის მაიორი
13. **ჭყონია** გიორგი ვიქტორის-ძე—მილიციის მაიორი
14. **კარაპეკო** დიმიტრი სიმონის-ძე—სახელმწიფო უშიშროების პოდპოლკოვნიკი.

მედლით „მამაცობისათვის“

1. **ალასანია** გიორგი ანტონის-ძე—სახელმწიფო უშიშროების კაპიტანი
2. **დეკანოზიშვილი** ზაქარია იროდიონის-ძე—სახელმწიფო უშიშროების კაპიტანი
3. **ჩაჩიბაია** პეტრე დავითის-ძე—სახელმწიფო უშიშროების კაპიტანი
4. **კიკაჩეიშვილი** შალვა ფილიპეს-ძე—სახელმწიფო უშიშროების მაიორი
5. **გუბაზი** რომან დავითის-ძე—მილიციის კაპიტანი
6. **ხუჯეევი** გერასიმე კიმიჩის-ძე—სახელმწიფო უშიშროების მაიორი
7. **მდინარაძე** ივანე ირაკლის-ძე—სახელმწიფო უშიშროების მაიორი
8. **ფერაძე** ვიქტორ ტარასის-ძე—სახელმწიფო უშიშროების კაპიტანი
9. **დემუროვი** მიხეილ ივანეს-ძე—სახელმწიფო უშიშროების კაპიტანი
10. **თაბუკაშვილი** გრიგოლ ბარამის-ძე—სახელმწიფო უშიშროების კაპიტანი
11. **გოცირიძე** ალექსანდრე ერასტის-ძე—მილიციის პოლკოვნიკი.

მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“

1. **კაპანაძე** ვახტანგ ფეოდოტის-ძე—სახელმწიფო უშიშროების კაპიტანი
2. **შავლიაშვილი** შალვა პლატონის-ძე—სახელმწიფო უშიშროების კაპიტანი
3. **კვანტალიანი** ვლადიმერ მოსეს-ძე—სახელმწიფო უშიშროების კაპიტანი
4. **ბოსიკოვი** ილია ნიკოლოზის-ძე—მილიციის კაპიტანი
5. **ციხისელი** აკაკი ყარამანის-ძე—მილიციის კაპიტანი.

მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“

1. **ჯორჯაძე** ნიშრევან დიმიტრის-ძე—მილიციის კაპიტანი.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

5 ოქტომბრის ოპერაციული ცნობა

5 ოქტომბრის განმავლობაში ვიტებსკის მიმართულებით ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებს და დაიკავეს 46 დასახლებული პუნქტი, მათ შორის დასახლებული პუნქტები საპაცი, უზგორკი, კოლიშკი, კარბანი, ნოვოსელკი, კუდრიცი, კასენკი, ელისეევკა, ჟუკოვო, ოგრუბი, იგნატოვკა.

დანარჩენ ფრონტებზე გაძლიერებული დაზვერვა და საარტილერიო-სანაღმმტყორცნო სროლა იყო.

4 ოქტომბრის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 53 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 48 თვითმფრინავი.

* * *

ვიტებსკის მიმართულებით ჩვენი ჯარები ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებს ეწეოდნენ და 46 დასახლებული პუნქტი დაიკავეს. 6 ნაწილის მებრძოლებმა სძლიეს მტრის წინააღმდეგობა და დაიკავეს ძლიერ გამაგრებული დასახლებული პუნქტი კოლიშკი. გერმანელებმა რამდენიმე კონტრიერიში მოიტანეს, მაგრამ უკუგდებულ იქნენ. ამ პუნქტისათვის წარმოებულ ბრძოლებში მოსპობილია 600-ზე მეტი ჰიტლერელი. წამოღებულია დავლა და წამოყვანილია ტყვეები. სხვა უბანზე ჩვენმა მებრძოლებმა სძლიეს მტრის ძლიერი ცეცხლითი წინააღმდეგობა, წინ წაიწიეს და უფრო ხელსაყრელი პოზიციები დაიკავეს. გერმანელებს წაართვეთ 1 სანაღმმტყორცნო და 2 საარტილერიო ბატარია.

ჩვენი მოიერიშე ავიაცია ურტყამდა მოწინააღმდეგის ჯარებს. 5 საავიაციო ნაწილის მფრინავებმა დღის განმავლობაში ჩააჩუმეს 16 საარტილერიო ბატარია, მოსპეს 70 ავტომანქანა სამხედრო ტვირთიანად, გაჰფანტეს და ნაწილობრივ გაჟლიტეს გერმანელთა ერთ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი.

* * *

გომელის მიმართულებით ჩვენი ჯარები ეწეოდნენ დაზვერვას და ცეცხლითს ბრძოლას მოწინააღმდეგესთან. 6 ნაწილის მებრძოლებმა ორი დღის წინათ მტად დიდი მნიშვნელობის მქონე ზღუდე დაიკავეს. ამ ხნის განმავლობაში გერმანელები ხუთჯერ შეეცადნენ აღედგინათ მდგომარეობა. პირველად მათ კონტრიერიშზე გადმოიყვანეს ერთი ასეული ქვეითი ჯარი, ჰაგრამ, ვისი შემადგენლობის ნახევარი რომ დაჰკარგეს, სწრაფად დაიხიეს უკან. გუშინ და დღეს მოწინააღმდეგემ იერიში მოიტანა ზღუდეზე ერთი ბატალიონი ქვეითი ჯარის ძალებით, მაგრამ წარმატებას მაინც ვერ მიაღწია. ჩვენმა მებრძოლებმა არტილერიისა და თოფტყვიამფრქვევის ცეცხლით მოსპეს 400-მდე ჰიტლერელი და ძტკიცედ ინარჩუნებენ ხელში დაკავებულ ზღუდეს. სხვა უბანზე 6 ნაწილის მზვერავებმა შეაღწიეს მტრის ზურგში, გაანადგურეს ერთი ოფიცერი, ხელთ იგდეს 16 ტყვიამფრქვევი და 30 საზიდარი სამხედრო ტვირთიანად. წამოყვანილია ტყვეები.

* * *

მოგილიოვის მიმართულებით 6 ნაწილის ქვეგანაყოფებმა გერმანელებს წაართვეს 8 ქვემეხი, 25 ტყვიამფრქვევი, ექვსლულიანი ნაღმსატყორცნი, და რადიოსადგური. სხვა უბანზე ჩვენი მებრძოლები ღამით მდინარეს გადავიდნენ და უეცრად მიუტანეს იერიში მოწინააღმდეგეზე. ხანმოკლე შეტაკების შემდეგ, გერმანელებმა უკან დაიხიეს და ბრძოლის ველზე დასტოვეს 150-ზე მეტი გვამი, საჭურველი და საომარი მასალა.

* * *

შავი ზღვის ფლოტის ავიაციამ ჩასძირა მოწინააღმდეგის ტრანსპორტი 2 ათასი ტონა წყალწყვისა, 2 სატორპედო კატერი და 4 სადესანტო კარჭაპი გერმანელთა ჯარებიანად.

* * *

ბოკინკოს სახელობის უკრაინულმა პარტიზანულმა რაზმმა ლიანდაგიდან გადააგდო მოწინააღმდეგის სამხედრო ეშელონი. გერმანელთა აღმდგენელმა რაზმმა ვაგონების ნამსხვრევებიდან გამოიღო გერმანელ ჯარისკაცთა და ოფიცერთა 100-ზე მეტი გვამი. ერთი დღის შემდეგ ამ რაზმის პარტიზანებმა ააფეთქეს მოწინააღმდეგის კიდევ ერთი სამხედრო მატარებელი. დაზვერვამ გამოარკვია, რომ მარცხის შედეგად მოკლული და დაჭრილია 60 ჰიტლერელი. სულ ერთი კვირის განმავლობაში ბოკინკოს სახელობის რაზმმა მოსპო მოწინააღმდეგის 7 ორთქლმავალი, 102 ვაგონი და 16 პლატფორმა.

ქალაქ ნოვოგრად-ვოლინსკში გერმანელმა პოლიციელებმა სექტემბრის დამლევს მოაწყეს ჩხრეკა და შეიპყრეს 200 ქალი, კაცი და მოზარდი, გერმანიის კატორღაში გასაგზავნად. პარტიზანებმა გამოარკვიეს, როდის და რომელი გზით გაატარებდნენ გერმანელები პატიმრებს, და ჩასაფრებულებამდე რომ მიაღწია, პარტიზანები უეცრად დაესხნენ თავს გერმანელთა ბადრაგს. პარტიზანებმა მოსპეს ჰიტლერელები და გაათავისუფლეს საბჭოთა მოქალაქეები.

* * *

ჩვენმა მებრძოლებმა ბრძოლის ველზე იპოვნეს „სს“-ელთა დივიზია „რაიხის“ პოლკ „დოიჩლანდის“ უნტერშარფიურერ (უფრო უნტერ-ოფიცრის წოდებას) კინეერის დღიური. გაჭნილი ფაშისტი კინეერი დაუფარავი ქედმაღლობით იხსენებს არა „სს“-ელთა ნაწილებს, რომლებსაც „საარმიო ნაწილებს“ უწოდებს, კინეერი მათ აბრალებს გერმანიის არმიის უწესრიგო უკანდახევას. ქვემოთ გაქვეყნებთ დღიურის ამონაწერებს:

„1943 წლის 6 აგვისტო. რუსები გამოიჭრნენ ბელგოროდთან. „საარმიო ნაწილების“ ჯარისკაცები—ეს დოყლაპიები — გაიქცნენ. აქ „სს“-ელთა ჯარები რომ არ იყოს, ხარკოვი მალე კვლავ რუსულ ქალაქად გადაიქცეოდა... „საარმიო ნაწილები“ დაუსრულებელ კოლონებად გარბიან ზურგში. გზები გაჭედილია, შეუძლებელია გავლა.

8 აგვისტო. დივიზიის შტაბი ლიუბოტინში გადავიდა. ჩვენც დღეს უნდა წავიდეთ აქედან. საით—წინ თუ უკან? ღამით რუსების თვითმფრინავებმა ძლიერ დაგვბომბეს. ჩვენ ეიპერდით ჯარისკაცებს, რომლებიც მოწინააღმდეგის პოზიციებიდან გამოიქცნენ. მათ ძლიერ ეშინიათ გარშემორტყმისა.

11 აგვისტო. „სს“-ელთა პოლკი „დოიჩლანდი“ დაბანაკებულია 10 კილომეტრის მანძილზე პოზიციებიდან და ელის ბრძანებას შეტევის შესახებ. გუშინ განუწყვეტლივ გვიშენდნენ. დაგვბომბეს. დამტვრეულია მანქანები, ბევრია მოკლული და დაჭრილი.

13 აგვისტო. სულ უფრო და უფრო ახლოს ისმის რუსების ნაღმსატყორცნთა გრიალი. ჩვენ გარშემორტყმული ვართ? ყველა მიმართულებით ჯოჯოხეთია გაშლილი...

14 აგვისტო. რუსები ჩვენგან 50 მეტრზე არიან. თავს ვიცავთ. ცეცხლს გვიშენს არტილერია, ნაღმსატყორცნები და ტყვიამფრქვევები.

15 აგვისტო. შეუძლებელია სანგრიდან თავის ამოყოფა. არტილერიის ძლიერი ცეცხლია. ძლიერ დიდი ზარალი მოგვივიდა. ასეულში 9 კაცი-და დარჩა. შეუძლებელია რუსებს გავუძლოთ. სწრაფად ვიხევთ უკან...“.

გერმანელთა სარდლობა, სჩანს, დიდ იმედს ამყარებდა „სს“-ელ ავანჯაკებზე, მაგრამ მათაც ვერ შეინარჩუნეს პოზიციები. წითელი არმიის დარტყმების შედეგად გაიქცნენ არა მარტო „საარმიო ნაწილები“, არამედ გარბოდნენ „სს“-ელებიც, რომლებსაც მძიმე ზარალი მოსდიოდათ ადამიანებისა და ტექნიკის მხრივ.

ბრძოლის ერთი დღე

შორს გარეკილი გერმანელები ერთ უბანზე ჩაებღაუჭნენ შუალედ ზღუდეს, ჩაძირნენ მიწაში და შეუპოვარ წინააღმდეგობას გვიწევდნენ. არტილერიის სროლა ერთი საათითაც არ შეწყვეტილა.

ჩვენი ქვეითი ჯარი ისვენებდა საუზმის შემდეგ. მებრძოლნი ერთმანეთს უამბობდნენ შინდან მიღებულ ახალ ამბებს, სარგებლობდნენ ხანმოკლე შესვენებით და ხუმრობდნენ, სწერდნენ წერილებს, იგონებდნენ ბრძოლის უბიზოდებს. მაგრამ ნაწილის შტაბში დაძაბული მუშაობა მიმდინარეობდა. დილისათვის დანიშნული იყო შეტევა, და მეთაურები გულმოდგინედ ამზადებდნენ მას.

ნაწილი მაღლობზე განლაგდა. ამ მაღლობიდან სხვადასხვა მხარეს ღრმა ტყიანი ხევები მდიოდა. აქ ჯერ კიდევ გუშინ გერმანელები იყვნენ. მაღლობის კალთებზე დიდრონი ფიჭვების ქვეშ მათ მთელი მიწისქვეშა ქალაქი გაეშენებინათ. გრძელი ხევები ქუჩებს ჰგავდა. ფლატეებზე ორ-ორ წყებად განლაგებული იყო ფართო რვა-ათ ძელშენიანი ბლინდაჟები. ამ ბლინდაჟების ასაგებად ფაშისტებმა მრავალი სოფლის სახლები დაანგრიეს. გერმანელები აქედან წასვლას არ აპირებდნენ. ტყეილად როდი გვიწევდნენ ისინი აქ ასეთ ძლიერ წინააღმდეგობას. სამი დღის ბრძოლების შემდეგ მაღლობზე იდგა გადამტვრეული და ტოტებდამსხვრეული ფიჭვები. მიწა გადათხრილი იყო ყუმბარებითა და ნაღმებით, ზოგიერთი ბლინდაჟი—დანგრეული.

მაღლობის დაკავებით ჩვენმა ნაწილმა საუცხოო პოზიციები მოიპოვა წარმატების განსაკითარებლად. ზურგის მისადგომები დაფარული იყო მტრისთვის, ხოლო მოწინააღმდეგის განლაგება აქედან ხუთ კილომეტრზე სჩანს წინ.

დადგა შემოდგომის მოღრუბლული დილა. გასაოცარი სიწყნარე იყო. გვარდიის საარტილერიო პოლკის შტაბის უფროსმა მაიორმა ოლენიჩევმა ტელეფონით ბრძანება გადასცა დივიზიონის მეთაურებს.

— ერთი წუთის შემდეგ ვიწყებთ. ჯერ ათწუთიანი თავდასხმა, შემდეგ კი ცეცხლის ზვირთი!

ჩვენი საარტილერიო მომზადება ანადგურებს გერმანელთა თავდაცვას, უფორმო ლიტონის გროვად აქცევს ტექნიკას, მტრის ჯარისკაცების გვამებით ჰფენს ბრძოლის ველს. იმ გერმანელებს, რომელნიც თავის გადარჩენას ახერხებენ, შემდეგ სანგრებში პოულობენ გაბრუებულებს, დაყრუებულებს.

დანიშნულ დროს, თითქოს ქარიშხალი ამოვარდაო, ატყდა არტილერიისა და ნაღმსატყორცნთა ცეცხლი. ივი ბობოქრობდა. გრგვინავდა, დედამიწას აზანზარებდა. მალე ჰორიზონტი თოფის წამლის ბუნიმა კვამლმა დაჰფარა. ქარი არ იყო, და კვამლი გატყორცნილი ყუმბარებით გამოწვეულ ჰაერის ნაკადს ნელ-ნელა მიჰქონდა მტრისაკენ.

რამდენიმე წუთის შემდეგ კი, სანამ საარტილერიო მომზადება გათავდებოდა, იერიშზე გადაიდნენ ტანკები და ქვეითი ჯარი. ზედ თავზე გადაიფრინეს მოიერიშეებმა.

ბატალიონების სათვალთვალო პუნქტებიდან უკვე მოვიდა ცნობა:

— ქვეითმა ჯარმა გაიარა 300 მეტრი და იბრძვის ბუჩქნარში.

— გერმანელები უკან იხევენ.

განაპირა ბლინდაჟში, რომელიც გერმანელებმა რამდენიმე ასეულ მეტრზეა, შეირბინა მებრძოლმა. მის ჩაჩქანსა და მაზარას მიწა აყრია.

— სანიტარი არის?—შესძახა მან.

— რა იყო?—ჰკითხა მაღალმა ტანადმა ქალიშვილმა, და თავდაუზოგავი გამოვარდა ბლინდაჟიდან სანიტარულ ჩანთითაც. მალე იგი თოფის წამლის კვამლში დაიმალა ხევს იქით, სადაც ქვეითს ჯარს ხელჩართული ბრძოლა გაემართა და გერმანელებს ანადგურებდა.

ეს დონილი ყაზახი ქალია გალინა კორდატელევა, მეცხვრიები ხუტორ ბასკისა, რომელიც 25 კილომეტრზეა როსტოვის ოლქის სანიტარიცა ცენტრალურ-ბაზიდან. იგი ოცდაერთი წლისა. ფრონტზე მოხალისეად მოვიდა და ომის პირველი ოლიებიდანვე იბრძვის. ქალიშვილს მკერდის ორშვიანებს ორი მედალი—„მამაცობისათვის“ და „საბრძოლო დამსახურებისათვის“.

კონდრატიევა არა სტოვებს ცეცხლმოდებულ ბრძოლის ველს. ბლინდაჟს ძმიმე ყუმბარა მოხვდა და მიწამ დაიტანა ექვსი ნაღმტყორცნელი. გალინა მივარდა მათ საშველად. ნაღმტყორცნელები ამოთხარეს, ისინი იწვნენ და სიცოცხლის ნიშანწყალიც არ ეტყობოდათ. გალინამ ხელოვნურად ასუნთქა თითოეული მათგანი, შეუხვია ჭრილობები, და ყველანი მოასულიერა.

დილის 10 საათსა და 15 წუთზე მსროლელი პოლკის მეთაური უკვე აწარმოებდა პირველი ტყვეების დაკითხვას.

გაბობოქრებულ ცეცხლში ვირტუოზულად დაძვრებოდა მეკავშირე მასირკულ ბაზიევი—ყირგიზეთის სს რესპუბლიკის ტაშკუმირის რაიონის მცხოვრები. იგი აღადგენდა კავშირგაბმულობას, რომელიც წამადაუწუმ წყდებოდა ნაღმებისა და ყუმბარების ნამსხვრევებისაგან. დღის განმავლობაში ტყვიების, ნაღმების, ყუმბარებისა და ბომბების ერთიან სტვენაში ბაზიევმა 55 ადგილას აღადგინა გაწყვეტილი ხაზი. ამ დღეს მას ორჯერ წაეყარა თავზე მიწა, წაეკვლია აფეთქებით გამოწვეულმა ტალღამ, მაგრამ მასირკულ ბაზიევი არა ცხრებოდა.

— ვისაც სიკვდილისა არ ეშინია, სიკვდილს მისი ეშინია,—სთქვა მან და ვინ იცის მერამდენჯერ გაჰყვა კაბელიანად და ტელეფონის აპარატიანად კავშირგაბმულობის ხაზს.

შუადღეა. ცა წინანდებურადვე მთლიანი ლეგა ღრუბლებით არის დაფარული. არტილერია უკვე გაცილებით უფრო იშვიათად ისვრის. მაგრამ ქვეითი ჯარისა და ტანკების ბრძოლა უფრო დაძაბული ხდება. პოლკის საკომანდო პუნქტს დადასტურ: „გერმანელებმა ჩვენი ტანკების წინააღმდეგ ოთხი ქვემეხი გამოიტანეს და მიბრაჯნით გვესვრიან. ერთმა ტანკმა ბუჩქებში გადატეხვა, ფლანგიდან მოუარა და ქვემეხი დაამტვრია, ხოლო სამი სხვა ქვემეხი ჩვენმა ზარბაზნებმა დაამსხვრიეს“.

კიდევ მოიყვანეს ტყვეები. აი გერმანელი შოფერი. იგი საბრძოლველად გაგზავნეს, როგორც ქვეითი.

ტყვე გვიამბობს, რომ მათი ასეული აქ თავდაცვაში იყო. ასეულში 152 კაცი ითვლებოდა. ამ დღეს 141 ჯარისკაცი და ოფიცერი დაიღუპა რუსების არტილერიის ცეცხლით, ოთხი გაიქცა, სხვები კი ტყვედ დანებდნენ.

ბატალიონებისა და პოლკების საკომანდო პუნქტებში უკვე ცნობილი გახდა იმათი სახელები, ვინც თავი გამოიჩინა ბრძოლაში. ოცეულის მეთაურმა ლანცოვმა და ყაზახმა მებრძოლმა უტიგალიევმა გერმანელთა დიდ ჯგუფთან ხელჩართულ შეტაკებაში რამდენიმე კაცი გაჰგმირეს, ხოლო შვიდმა ფაშისტმა ხელები მაღლა ასწია და დანებდა ორ საბჭოთა მეომარს. უფროსმა ლეიტენანტმა გორბუნოვმა თავისი ასეულით პირველმა შეანგრია გერმანელთა თავდაცვა და ყველას ვაუსწრო წინ.

პოლკის საკომანდო პუნქტიდან რადიოთი ატყობინებენ ბატალიონის საკომანდო პუნქტს:

— გადაეცით ლანცოვს, უტიგალიევს და გორბუნოვს, რომ ისინი წარდგენილი არიან მთავრობის ჯილდოზე.

შეუმჩნეველად მოვიდა ბნელი და გრილი ღამე. ბრძოლა ცხრებოდა. ხანდახან ისმოდა ჩვენი ქვემეხების სროლა, და პასუხად მოფრინავდა გერმანელთა ყუმბარები. ამ დღის განმავლობაში მტერი განდევნილ იქნა შუალედი ზღუდიდან.

დასავლეთით საზარლად პრიალებს ზანძრის შუქი. მტერი სოფლებს სწვავს. ჰაერში გუგუნებს მაკორეტტებელი, ხან აქ, ხან იქ მაღლა ადის რაკეტები, რომლებიც მკრთალ სინათლეს ჰფენენ მიყუჩებულ პოზიციებს. ხანდახან ღამის სიჩუმეს არღვევს ავტომატები და ტყვიამფრქვევების კაკანი. არტილერისტები არათანაბარი ინტერვალებით ისვრიან მტრის შესაწუხებლად.

ასე გავიდა ერთ-ერთი რიგითი დღე როდნიას გვარდიის მე-19 მსროლელ დივიზიაში. ამ დღის ბრძოლა აღსავსეა საბჭოთა ჯარისკაცისა და ოფიცრების გმირობის მაგალითებით.

ხვალ დილიდან კი კვლავ გაჩაღდება ბრძოლა.

Ю. КОРИАВИЧЕВი

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფილიალებისა და ბაზების საბჭოს სესია

მოსკოვი, 4 ოქტომბერი (საკდესი). 1-2 ოქტომბერს მოსკოვში მიმდინარეობდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფილიალებისა და ბაზების საბჭოს სესია, რომელზეც მოსმენილ იქნა მეცნიერებათა აკადემიის სოხუმის, აზერბაიჯანისა და ტაჯიკეთის ფილიალთა საქმიანობის ანგარიშები და დასახულ იქნა ჩვენი ქვეყნის ნაციონალური რესპუბლიკების მეცნიერული კადრების შემდგომი ზრდის გზები.

საბჭოს სესია გახსნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფილიალებისა და ბაზების საბჭოს თავმჯდომარემ აკადემიის პრეზიდენტმა ვ. ლ. კომაროვმა. მან ხაზგასმით აღნიშნა,

საქონლის მოვლა გააუმჯობესეს, პროდუქციულობაც გაიზარდა

ახალქალაქი („კომუნისტის“ სპეც. კორ.). რაიონში არ არის ისეთი კოლმეურნეობა, რომელსაც მეცხოველეობის 3-4 ფერმა მაინც არ ჰქონდეს მოწყობილი. უმრავლესობას კი 5-6 ფერმა აქვს. როგორც წესი, ყველა კოლმეურნეობაში არის მსხვილფეხა რქიანი საქონლის, მეცხვარეობისა და მეფრინველეობის, აგრეთვე მეფუტკრეობის (გარდა სამი კოლმეურნეობისა), მეღორეობისა და მეცხენეობის ფერმები. კოლმეურნეები პატრიოტული ერთსულოვნებით იბრძვიან მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის. მარტო წელს მსხვილფეხა რქიანი საქონლის ფერმებს შეუმატეს 500 სული მოზარდი საქონელი. მეფუტკრეობის ფერმას კი 500 ძარი სკა.

1943 წლის რაიონული გეგმის გადამეტებით კოლმეურნეობებში ჰყავთ 91 სული მსხვილფეხა რქიანი საქონელი, 10.301 ცხვარი და თხა, 121 ღორი, 25 ცხენი, რამდენიმე ასეული ფრთა ფრინველი. მთლიანად შესრულებულია მეფუტკრეობის განვითარების გეგმაც. რაიონში გეგმის გადამეტებით გათიბეს 1.400 ჰექტარი ბალახი. კარგი მოვლის შედეგად ჰექტარზე საშუალოდ 18 ტონის ნაცვლად მიიღეს 20 ტონა თივა, გადაჭარბებით შეასრულეს გეგმა და დაამზადეს 7.000 ტონამდე სილოსი.

ზოოვეტერინარული წესების მტკიცედ დაცვა საქონლის სულადობის შემდგომი გადიდების საფუძველია. სოფ. ბეჟანოს 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობათა ფერმებში გადამდე და დიდი გადაჭარბებით არის შესრულებული დაკომპლექტების გეგმები. მარტო მეძროხეობის ფერმაში წელს 122 ძროხაზე 122 ხბო მიიღეს და მთლიანად შეინარჩუნეს, მეცხვარეობის ფერმაში კი გამოზრდილია ნამატის 97 პროცენტი. ბეჟითი, გულისხმიერი შრომით ასეთივე წარმატებებია მოპოვებული სოფ. ალათუბნის, ბრიალეთის, ვოთელიის, იხტალას და მთელ რიგ სხვა კოლმეურნეობებში. სოფ. ჩონჩხას ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობაში. სადაც თავმჯდომარედ ი. მაისურაძე მუშაობს, მეფუტკრეობის განვითარებას მხოლოდ ორიოდე წლის ისტორია აქვს. მიუხედავად ამისა, ფერმაში გათვალისწინებული 110 ოჯახის ნაცვლად 140 ოჯახი ჰყავთ და თითოეულ ოჯახზე საშუალოდ თითო ფუთამდე თაფლს იღებენ. მსგავსი მდგომარეობაა სოფ. ალასტანის ლენინის სახელობის და სოფ. ვარიანის კოლმეურნეობებში. სოფ. ვაჩიანის, ბრტენის, ქილდას და სხვა კოლმეურნეობებში გაკეთდა 700 სული საქონლის ტავადობის 10 სადგომი. კოლმეურნეობებში მიმდინარეობს ბინების რემონტი, დეზინფექცია, საკვების სადგომებთან მიტანა და ინვენტარის მომზადება. რაიონის 16 სასოფლო საბჭოს, მათ შორის აზავრეთისა და კარტიკმის კოლმეურნეობებმა რემონტი დაამთავრეს.

მაგრამ ეს წარმატებები როდი ნიშნავს, თითქოს ახალქალაქის რაიონის კოლმეურნეობათა ფერმებში ადგილი არ ჰქონდეს ნაკლოვანებებს. სოფ. გოგაშენის კოლმეურნეობაში, სადაც თავმჯდომარედ გ. მაღრაძე მუშაობს, ყველა პირობა არსებობს გეგმების გადაჭარბებისათვის, მაგრამ ეს შესაძლებლობა გამოყენებული არ არის. ფერმების საქონლის სადგომი მხოლოდ 15-მდე პროცენტს ეყოფა, მაგრამ ეს ბინებიც შეუკეთებელია. არ დაუწყიათ მშენებლობა და რემონტი. ჩატარებული არ არის დეზინფექცია. ფერმებისათვის აქტით არ გადაუციათ საკვები. დაუკომპლექტებელია მეღორეობისა და მეფრინველეობის ფერმები. ადგილი აქვს ხბოებისა და ბატკნების სიკვდილიანობას. ოდარდელობას და უპასუხისმგებლობას ეხდებით სოფ. ორჯეს კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობაშიც, სადაც თავმჯდომარედ შ. არეფიანი მუშაობს. აქაც ფერმებში შეუსრულებელია სულადობის ზრდის და დაკომპლექტების გეგმები. ცუდი მოვლის გამო მოკვდა 1 ცხენი, 1 მწარმოებელი ბუღა, 25 ბატკანი. განა ეს შესაწყნარებელია?

ტრ. თოდრაძე

ცხვარი დაიძრა საზამთრო იალაღებისაკენ

თელავი („კომუნისტის“, საკ. კორ.). წელს საზამთრო იალაღებზე თელავის რაიონის კოლმეურნეობათა 80.000 სული ცხვარი მიდის, აქედან ზემოალვანის შინსახკომის სახელობის კოლმეურნეობისა — 16,500 სული. ცხვრის გამოზამთრებისათვის ბევრი კოლმეურნეობა საუკეთესოდ მოემზადა. სოფ. ქვემო ალვანის კოლმეურნეობა „წითელმა თუთამ“, სადაც თავმჯდომარედ ორდენოსანი დ. დევდარიანი მუშაობს, საზამთრო საძოვრებზე 614 ცენტნერი თივა დაამზადა. ასევე მოიქცნენ ზემო ალვანის ბერიას და შინსახკომის სახელობის კოლმეურნეობები.

25 სექტემბრიდან ცხვრის ფარები საზამთრო საძოვრებისაკენ დაიძრნენ. მეცხვარეობის ბრიგადები დაკომპლექტებულია გამოცდილი მწყემსებით. მათი უმრავლესობა უზრუნველყოფილია ნაბდებით და სხვა საჭირო ნივთებით.

საზამთრო საძოვრებზე მთელ რიგ კოლმეურნეობებს დღემდე არ დაუწყიათ ცხვრის სადგომების შეკეთება. ზემო ალვანის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობას, სადაც თავმჯდომარედ შაქრო ედიშერიძეა, არცერთი ვენტერი თივა არ დაუმზადებია.

ს. ქოჩლაძე

მეჯი ყურადღება მეცხოველეობას

ქარელი („კომუნისტის“ საკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეობები წარმატებით იბრძვიან მეცხოველეობის განვითარების 1943 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულებისათვის. განსაკუთრებით ორგანიზებულად ჩატარდა ნამატის შენარჩუნება. რაიონს შესრულებული აქვს წლიური გეგმა თხისა და ცხვრისა—112 პროცენტით, ცხენისა—107 პროცენტით, მსხვილფეხა საქონლისა—97 პროცენტით.

ზოგიერთ კოლმეურნეობაში სათანადო ყურადღება არ ექცევა მესაქონლეობის განვითარებას, მოუვლელობის შედეგად სოფ. ქვემოფლავის კოლმეურნეობაში 24 სული ცხვარი დაიღუბა. პირუტყვის სიკვდილიანობას ადგილი ჰქონდა ტყემლოვანის, წითელი სოფლის და არადეთის კოლმეურნეობებშიც. რუსოვის კოლმეურნეობაში 27 სული მსხვილფეხა საქონელი, უკანაუბნისას — 21, ახალსოფლისას კი—50 სული. ჩამორჩნენ აგრეთვე ჭანდრების, ღვლევის და ჯაგარაანთკარის კოლმეურნეობები. კოლმეურნეობათა ადგილობრივი ამოცანაა პირუტყვის გამოზამთრებისათვის ზრუნვა: ბინების შეკეთება, საკვებით უზრუნველყოფა და სხვ., მაგრამ ამ მხრივ არ არის რაიონში დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა. სოფ. წვერი მეორის, გალავნის და დიდი ახალსოფლის კოლმეურნეობებმა მინდვრად დაალაპე ნამჯა. ეს კოლმეურნეობები ნაკლებად ზრუნავენ ბინების შეკეთებასა და კონცენტრული საკვების დამზადებაზეც.

ვ. ინასარიძე

წალენჯიხის საბჭოთა მეურნეობაში

წალენჯიხა („კომუნისტის“ საკ. კორ.). წალენჯიხის ლ. ბერიას სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობას, რომლის დირექტორია გრ. შეროზია, წელს უნდა მოეკრიფა 830 ათასი კილოგრამი ჩაის ფოთოლი. ჩაის კრეფისა და სხვა საწარმოო დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის მეურნეობის კოლექტივი ჩაება სოციალისტურ შეჯიბრებაში და თავის მხრივ გამოიწვია ნარაზენის ჩაის საბჭოთა მეურნეობა. წალენჯიხის საბჭოთა მეურნეობაში ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება წარმატებით მიმდინარეობს: მეურნეობამ უკვე მოჰკრიფა 752 ათასი კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი, წლიური გეგმის 93 პროცენტი. აქედან 43,1 პროცენტი პირველი ხარისხისაა. საწარმოო დავალებათა შესრულებაში თვალსაჩინო წარმატებებისათვის საბჭოთა მეურნეობამ მაისში მიიღო საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის თვიური გარდამავალი წითელი დროშა, რასაც დღემდე ინარჩუნებს.

წალენჯიხის საბჭოთა მეურნეობის ეს წარმატება იმის შედეგია, რომ გაიზარდა სტახანოველთა რიგები, მტკიცედ განხორციელებულ იქნა ჩაის მოვლის აგროწესები. საკმარისია ითქვას, რომ მეურნეობის მუშათა 72 პროცენტი სტახანოველია, მათ შორის ბევრია ათასოვნები. ახალგაზრდა სტახანოველმა ოლია ბენიმ 1 სექტემბრისათვის მოჰკრიფა 5.330 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი. იგი ხშირად დღეში ჰკრეფს 230-300 კილოგრამ ფოთოლს, ერთ დღეს კი 417 კილოგრამი მოჰკრიფა. ასეთივე მაღალი მაჩვენებლები აქვთ სტახანოველ მკრეფავებს: მარიამ აფანასევას, თამარ ქანთარიას და უ. კურილოვიჩს.

ვ. ბელქანია

ჩაის კრეფისა და სიფრუსთა მყნობის გეგმების შესრულება

ზუგდიდი („კომუნისტის“ საკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეობებმა ვადაზე ერთი თვით ადრე, 1 ოქტომბრისათვის, გადაჭარბებით შეასრულეს ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის წლიური გეგმა—ნაცვლად 4.770.000 კილოგრამისა მოკრეფილია 4.780.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. რაიონში გადაჭარბებით არის შესრულებული აგრეთვე ციტრუსების მყნობის გეგმა—დამყნილია 451.000 ძირი ციტრუსი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 450.000 ძირისა.

ხ. გერულავა

„კომუნისტის“ წერილების კვალდაკვალ

„გამოვასწოროთ ჩამორჩენა სიფრუსოვანთა სამუშაოებში“

ამ სათაურით გაზ. „კომუნისტის“ 1943 წლის 14 სექტემბრის ნომერში დაიბეჭდა კორესპონდენცია, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ქობულეთის რაიონის სოფ. აჭყვისთავის ყდანოვის სახელობის, სოფ. ლეღვას მიქოიანის სახელობის, სოფ. კონდიდის პარიზის კომუნის სახელობის კოლმეურნეობებში და სანალვადოს კოლმეურნეობაში „აჭარაში“, აგრეთვე ლიმმანტრესტის კვირიკეს საბჭოთა მეურნეობაში ჩამორჩა ციტრუსოვანთა სამუშაოები და სხვ.

საქ. კ. პ. (ბ) ქობულეთის რაიკომის მდივანი ამხ. შ. ჭანტურიძე გვატყობინებს, რომ შემოწმებით კორესპონდენციაში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. საქ. კ. პ. (ბ) ქობულეთის რაიკომის ბიურომ განიხილა აღნიშნული კორესპონდენცია და მიიღო ზომები ციტრუსოვანი პლანტაციების გასაშენებად. ბიუროს მიერ დასახულ ღონისძიებათა საფუძველზე კერძოდ ლიმმანტრესტის კვირიკეს საბჭოთა მეურნეობას ჩამორჩენა გამოასწორებლად აღმოეჩინა დახმარება მუშახელით მახლობელი კოლმეურნეობებიდან. ციტრუსოვანთა სანერგე გაშენდა. სარეველა ბალახებისაგან. მიღებული ზომები ამ მეურნეობაში მყნობის გეგმის შესასრულებლად და სხვ. მთლიანად რაიონში მყნობის გეგმა შესრულებულია. გაჩაღებულია მუშაობა რაიონში ციტრუსოვანთა მოსავლის უკანაკარგოდ აღებისათვის. ეკავშირისა და კონსერტრესტის პავილიონები უკვე შეუდგნენ მოსავლის აღებისა და გადამუშავებისათვის საჭირო ინვენტარისა და მოწყობილობის შეკეთებას და ყუთების დასამზადებლად ტარა-მასალის მომარაგებას.

ნაკადურმა სისტემამ საწარმოო მაჩვენებლების ზრდა გამოიწვია

თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანა ერთი იმ საწარმოთაგანია, სადაც პირველად სცადეს წარმოების ნაკადურ სისტემაზე გადაყვანა. ახლა ამ ქარხნის რამდენიმე საამქროში უკვე შემოღებულია ნაკადური სისტემით მუშაობა, და შედეგსაც შესანიშნავს ღებულობენ.

ის საამქრო, სადაც უფროსად ამხ. ს. ტატარინსკია, ერთი პირველთაგანი გადავიდა ნაკადური სისტემით მუშაობაზე. ივნისში ამ საამქროს საწარმოო გეგმა შეასრულა 114 პროცენტით, ივლისში—111 პროცენტით, ხოლო აგვისტოში—128,6 პროცენტით. სექტემბერში, მიუხედავად იმისა, რომ საამქროს ახალი საწარმოო დავალებები მიეცა და მას მოუხდა ახალი სახის პროდუქციის ათვისება საწარმოო დავალება კიდევ უფრო მეტი გადაჭარბებით არის შესრულებული.

საგულისხმოა საამქროს გამოცდილება ახალი სახის პროდუქციის ათვისებაში: აგვისტოს ბოლოს საამქროს დაავალეს ახალი სისტემის მზა პროდუქციის გამოშვება. საამისოდ საჭირო გახდა ტექნოლოგიური პროცესების გადახალისება და დაზგების ხელახლა გამართვა ახალი დეტალების დასამუშავებლად. ნაკადური სისტემით მუშაობის უპირატესობამ აქ იჩინა თავი. დაიწყო ახალი სახის პროდუქციის ნაკადი. სანამ პირველი დეტალები ტექნოლოგიური დამუშავების პირველ პროცესში იყო, საწარმოებდა დაზგების გაწართვა ამავე დეტალების მეორე პროცესში გასატარებლად და ასე მიყოლებით, სულ ბოლო ტექნოლოგიურ პროცესებამდე. ამგვარად, თუ უწინ, სანამ ნაკადური სისტემით მუშაობაზე გადავიდოდნენ, ასეთი სახის პროდუქციის ასათვისებლად საამქროს სულ ცოტა 4-5 დღე მაინც დასჭირდებოდა, ახლა საამქროში ახალი სახის პროდუქციის ათვისება ხდებოდა დაუბრკოლებლივ და არც ერთი დღე ამისთვის არ გასცდენიათ.

ნაკადური სისტემით მუშაობის თავისებურობა, როგორც ცნობილია, მდგომარეობს იმაში, რომ ცალკეულ დაზგებზე მომუშავენი ერთიმეორისგან არიან დამოკიდებულნი. ამ შემთხვევაში, თუ ერთ რომელიმე დაზგაზე მომუშავე დაგვიანებს დეტალების გამოშვებას, იმით იგი გამოიწვევს მეზობელ დაზგაზე მომუშავის გაცდენას და ნაკადის მსვლელობა დაბრკოლდება. ამიტომ, თუ რომელიმე დაზგაზე მომუშავეს ხელი ეშლება, მას დაუყოვნებლივ უწევენ დახმარებას მეზობელი დაზგებიდან, რათა ნაკადის მსვლელობა არ დაბრკოლდეს. ურთიერთდახმარება და ნაკადის მსვლელობის დამბრკოლებელ მიზეზთა დაუყოვნებლივი ლიკვიდაცია იწვევს შრომის ნაყოფიერების მკვეთრ ზრდას.

ამხ. ს. ტატარინსკის საამქროში, მაგალითად, ცალკეული მუშების შრომის ნაყოფიერების ზრდა ასეთ მაჩვენებლებს იძლევა. ძველი გამოცდილი მუშა ამხ. პოკლონსკი საამქროში ნაკადური სისტემით მუშაობის შემოღებამდე ყოველთვიურ საწარმოო დავალებებს ძლივს-ძლივობით ასრულებდა. იგივისა, ივლისსა, აგვისტოსა და სექტემბერში კი მისი საშუალო ყოველთვიური გამომუშავება უდრის 398 პროცენტს. წარმოებაში ახალმოსული მუშა ამხ. რ. ზაიანცი, რომელმაც წარმოების ნაკადურ სისტემაზე გადაყვანას შედეგად ადვილად და უმოკლეს ხანში ათვისა ხარატის პროფესია, გეგმებს ახლა 490 პროცენტით ასრულებს. ფრონტელის მეუღლე ამხ. მიხაილოვა, რომელიც აგრეთვე ახალი მოსულია წარმოებაში, გეგმებს 430 პროცენტით ასრულებს. ზეინკალი მუშა ამხ. ი. კვეჩარ ყოველთვიურ საწარმოო დავალებებს ივნისსა, ივლისსა, აგვისტოსა და სექტემბერში საშუალოდ 522 პროცენტით ასრულებდა ა. შ.

საინტერესოა ერთი ვარეოობა: ისეთსავე პროდუქციას, როგორსაც ამ საამქროში ამზადებენ, ამზადებს იმ ქარხნის ერთ-ერთი საამქრო, სადაც დირექტორად ამხ. სარიშვილია. მაგრამ ეს საამქრო გეგმებს ისე წარმატებით ვერ ასრულებს, როგორც ამხ. ტატარინკის საამქრო. რატომ?—იმიტომ, რომ პროდუქციის გამოსაშვებად საჭირო სხმულს ტატარინსკის საამქრო ღებულობს იმ საამქროდან, სადაც შემოღებულია ნაკადური სისტემით მუშაობა (ამ საამქროს უფროსია ამხ. თ. ვოლკი), ამ საამქროდან კი ყოველთვის დაუბრკოლებლივ და დიდი რაოდენობით ღებულობენ ლითონის სხმულს, ხოლო მეზობელი ქარხნის საამქროში სხმულს ღებულობენ არარეგულარულად და არათანაბრად იმ საწარმოდან, სადაც ნაკადური სისტემით მუშაობა არ არის შემოღებული.

სამი თვის გამოცდილებამ საჭიროებით ნათელყო, რომ წარმოებაში ნაკადური სისტემის დანერგვა საწარმოო მაჩვენებლების ზრდის საუკეთესო საშუალებაა.

დ. ამირანიძე

ქარხანა, რომელიც გვაძლევს მაღალხარისხოვან პროქსიდებს

ჭიათურა („კომუნისტის“ საკ. კორ.). ჭიათურის პროქსიდების ქარხანა, რომელსაც ინჟინერი ალ. მოდებაძე ხელმძღვანელობს, ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით არის მოწყობილი და ფრონტსა და სამშობლოს გეგმის გადამეტებით უხვად აძლევს მაღალხარისხოვან პროქსიდებს.

ჩვენი მეტალურგიული ქარხნები, ფრონტი მაღალხარისხოვან პროქსიდებს საჭიროებენ. ამიტომ ქარხნის კოლექტივმა ამოცანა დაისახა: გამოეშვა 90-პროცენტიანი მარგანეცი. ამოცანა დადებითად გადაწყდა. უცხოეთიდან შემოტანილი სარეცხი ცხრილები ადგილობრივით შესცვალეს. ამავე დროს ახალი ცხრილების ღარებში ჩადგმით გაამჯობესეს პროქსიდების ხარისხი, გაზარდეს მადნის გამოსავლიანობა. 90-პროცენტიანი პროქსიდის საღღეღამისო გამოსავლიანობა 30 ტონიდან 50 ტონამდე ავიდა. სწორედ ამ ღონისძიების გატარებით წელს ქარხანამ პროქსიდების რეალიზაციიდან ქვეყანას 2 მილიონ მანეთზე მეტი მოგება მისცა.

კარგი წინადადება შემოიტანა გამოცდილმა ზეინკალმა ს. გაბყრელიძემ. წინადადება საწვავ-საცხები მასალების მომჭირნეობით ხარჯვას შეეხებოდა. ამ წინადადების განხორციელებით ზეთისა და მაზუთის ხარჯი 40 პროცენტით შემცირდა.

ქარხნის მექანიკოსმა ან. კვიტაშვილმა ტრანსპორტიორის გორგოლაჭები ჩვეულებრივი, უბრალო მილებით შესცვალა. ამით ქარხანამ მიიღო ტრანსპორტიორის საკისარების ეკონომია.

ქარხნის კოლექტივი გადამეტებით იძლევა მაღალხარისხოვან პროქსიდებს. საუცხოოდ მუშაობს ცალა, რომელსაც ინჟინერი არ. ნიკოლაძე ხელმძღვანელობს. მას ყოველნაირად ეხმარება ზეინკალ-ბრიგადირი ვ. კვეკნაძე. სახელგანთქმული მრეცხავი ნ. ხახიშვილი ორ დაზგას მართავს და დაავალებას გადაჭარბებით ასრულებს. მას არ ჩამორჩება მარგანეცის მრეცხავი ბაბილინა ჩაჩანიძე, იგი სამ-ოთხ ცხრილს განაგებს. შრომისმოყვარეა აგრეთვე მემანქანე მარია საპოლჩუკინი. იგი თვალისჩინებით უფროთხილდება მანქანას. კარგად მუშაობენ ახალმოსული მუშები: ალ. კაპანაძე, დ. ბიწაძე, ბ. ტყემალაძე და სხვ.

ვ. ჭიოკაძე

გავაშენოთ „მეიერის“ ჯიშის ლიმონი

ცნობილია, რომ ციტრუსებს და განსაკუთრებით კი ლიმონს დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ჯანმრთელობის აღდგენის საქმეში. ლიმონის წვენი საუკეთესო ზეგავლენას ახდენს ჭრილობათა სწრაფად შეხორცებაზე.

საქართველოს სუბტროპიკულ რაიონებში მრავალი ჯიშის ლიმონია გაშენებული. მაგრამ ყველა ჯიში ერთნაირი გამძლე და ყინვის ამტანი არ არის. ლიმონის ჯიშებიდან „მეიერი“ ყინვისადმი ყველაზე უფრო გამძლე და ადრე მოსავლიანია. ეს ჯიში საზღვარგარეთულია. ჩვენში პირველად შემოტანილ იქნა ამერიკიდან 1929 წელს. როგორც ამერიკაში, ისე ჩვენში დაკვირვებებიდან ირკვევა, რომ აღნიშნული ლიმონი 8 გრადუსამდე ყინვას უძლებს, ე. ი. ყველა სხვა ჯიშის ლიმონზე მეტს. „მეიერის“ ჯიშის ლიმონი ბუჩქისებურია, თითქმის უეკლოა, ფოთლებით და ყლორტებით ცოტათი განირჩევა ჩვეულებრივი ლიმონებისაგან. ნაყოფის ფერით, ფორმით და არომატით კი უფრო მკვეთრად განსხვავდება სხვა ჯიშის ლიმონებისაგან. „მეიერის“ ნაყოფი წვნიანია და თხელკანიანი. ხე უხვმოსავლიანია. „მეიერის“ ჯიშის ლიმონი ნაყოფს ისხამს იმ ყლორტებზე, რომელნიც იმავე წლის გაზაფხულზე განვითარდნენ, თან ყოველი ვეგეტაციის ყლორტი სანაყოფეა, ე. ი. გაზაფხულიდან შემოდგომამდე ყველა ახლად გამოსული ყლორტი ყვავილებსა და ნაყოფს იძლევა. აღსანიშნავია ისიც, რომ „მეიერის“ ჯიშის ლიმონი მეორე წლიდან იწყებს ნაყოფის მოცემას.

1939 წელს გონიოს საბჭოთა მეურნეობის სანერგეში დარგვიდან მეორე წელს „მეიერის“ ჯიშის ლიმონის ნერგებზე 10 ათასი ცალი ნაყოფი მოიკრიფა. ამავე მეურნეობაში დარგული „მეიერის“ 2-წლიანი ლიმონი შემთხვევით დაზიანდა და ის ნიადაგის ზედაპირიდან 20 სანტიმეტრის სიმაღლეზე გადაიჭრა. მიუხედავად ამისა, ამ ხემ ნაყოფი გამოისხა. ეს იმის დამადასტურებელია, რომ თუ ყინვისაგან ზამთრის განმავლობაში მცენარე დაზიანდა და გაზაფხულზე მას გაესწავლა, მისგან მაინც მივიღებთ ნაყოფს იმავე წელს.

1938 წლის გაზაფხულზე გონიოს საბჭოთა მეურნეობის იმ ნაკვეთზე, სადაც „მეიერის“ ჯიშის ლიმონებია გაშენებული, შუა ადგილზე, ცარიელ ნაკვეთზე, დარგული იყო 18 ძირი საქართველოს ახალი ჯიშის 2-წლიანი ლიმონი. მეორე წელს ლიმონის ამ ხეებმა თითოეულმა 15-20 ცალამდე ნაყოფი გამოიღო, მესამე წელს კი—100-150 ცალი. შესანიშნავი ის არის, რომ ადგილობრივი ჯიშის ლიმონის ზოგიერთი ნაყოფი ფორმით თითქმის არ განირჩეოდა „მეიერის“ ლიმონის ნაყოფისაგან. „მეიერის“ ზოგიერთი ნაყოფი კი, პირიქით, საქართველოს ახალი ჯიშის ლიმონს ჰგავდა. ლიმონის ნაყოფების ეს მსგავსება, ეჭვს გარეშეა, გამოწვეულია ჯვარედინი დამტვერვით. ეს საკითხი ფრიად საინტერესოა და მოითხოვს შემდგომ დაკვირვებებს და საფუძვლიან შესწავლას.

„მეიერის“ ჯიშის ლიმონის ყინვისადმი გამძლეობა, ვეგეტაციურ ყლორტებზე ყვავილისა და ნაყოფების იმავე წელს მოცემა, უხვმოსავლიანობა და სხვა თვისებები აყენებს საკითხს ამ ჯიშის ფართოდ გავრცელების შესახებ განსაკუთრებით იმ რაიონებში, სადაც კლიმატური პირობები ხელსაყრელია.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმის დადგენილების საფუძველზე უზრუნველყოთ ციტრუსთა მოვლის გადაჭრით გაუმჯობესება. და მაღალი მოსავლის მიღება.

ა. ლ. ჩიტაიშვილი

ლიმმანტრესტის უფროსი აგრონომი.

საგზოთა კაშკირში

ლენინგრადის თავდაცვის კინოალმანახი

ლენინგრადის გაერთიანებული კინოსტუდიის თანამშრომელთა კოლექტივი ომის პირველ დღეებიდანვე აწარმოებს ქალაქი - ფრონტის ცხოვრების ეპიზოდების კინოგადაღებას. ალბომზე აღბეჭდილია ლენინგრადელთა ცხოვრების ყველა ღირსშესანიშნავი მოვლენა: მრეწველობისა და საქალაქო მეურნეობის მუშების შრომა, მაშველი რაზმების მოქმედება და სხვ. გადაღებულია ყინულოვანი ტრასის — „სიცოცხლის გზის“ მთელი ისტორია, „დიდი მიწიდან“ მისული სურსათისა და საჭურვლის პირველი ავტოშელონები.

საფრონტო ჯგუფების კინოოპერატორებმა გადაიღეს ლენინგრადის ფრონტზე წარმოებული საბრძოლო ოპერაციები, კერძოდ ბლოკადის გასარღვევად წარმოებული ბრძოლები.

4 ოქტომბერი. (საკდესი).

დასასვენებელი სახლები მოსწავლეთათვის

შრომითი რეზერვების მთავარი სამმართველო სახელოსნო და სარკინიგზო სასწავლებლისა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლების მოსწავლეთათვის ჰქმნის დასასვენებელი სახლების ქსელს. გარდა ამისა, იხსნება 2.000-ადგილიანი ერთდღიური დასასვენებელი სახლები. (საკდესი).

ახალი ბელორუსული თეატრი

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულმა ხელოვნების საქმეთა კომიტეტმა გადაწყვიტა მოაწყოს მუსიკალური კომედიის ბელორუსული სახელმწიფო თეატრი. თეატრი მომსახურებას გაუწევს წითელი არმიის ნაწილებს და ბელორუსიის განთავისუფლებული რაიონების მოსახლეობას. (საკდესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

გენერალ-მაიორ კრიუკოვის გვარდიის მე-2 საკავალერიო კორპუსმა, მდინარე დესნის გადალახვისათვის ბრძოლებში 1943 წლის 11-15 სექტემბერს საუცხო საბრძოლო მომზადების, სიმტკიცისა და მანევრირების უნარის ნიმუშები გვიჩვენა. გაბედული და გადამწყვეტი მოქმედებისათვის კორპუსი დაჯილდოებულია წითელი დროშის ორდენით, ხოლო კორპუსის მეთაური და წარჩინებულ შენაერთთა მეთაურები — სუვოროვის ორდენებით. სურათზე: გვარდიის გენერალ-მაიორი ვ. ვ. კრიუკოვი.

ფოტო ლ. მელიქჟანინისა

დეკემბერი

სამარი მოქმედება იგაღიაში

ლონდონი, 5 ოქტომბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ინგლისელთა ნაწილებმა, რომელნიც 4 ოქტომბერს უეცრად გადასხდნენ გერმანელთა პოზიციების ზურგში პატარა სოფელ ტერმოლში (ადრიატიკის სანაპიროზე), ხელთ იგდეს იმ გზის აღმოსავლეთი ნაწილი, რომელიც ხელთაა ზოვიოსკენ მიდის. ამის შემდეგ მერე არმიის მარჯვენა ფლანგმა წინ წაიწია დაახლოებით 10 მილით.

დაძაბული მდგომარეობა დანიაში

ჯალათი ჰიმლერი კოპენჰაგენს გაეგზავნა „ფესრიგის დასამყარებლად“

ლონდონი, 5 ოქტომბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს ცნობით, დანიელი პატრიოტები კვლავ მრავალ დივერსიულ აქტს აწყობენ. მარტო სექტემბრის მეორე ნახევრის განმავლობაში მოწყობილ იქნა 20-ზე მეტი დივერსია. კერძოდ, ცეცხლი წაუკიდეს გერმანელთა უაზარმას, დაანგრიეს ორი ელექტროტრანსფორმატორული სადგური კოპენჰაგენში, მრავალ ადგილას გადასჭრეს გერმანელთა სატელეფონო ხაზები.

იმასთან დაკავშირებით, რომ დანიაში დაძაბული მდგომარეობა შეიქმნა, იქ გაემგზავრა გესტაპოს უფროსი და გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრი—ჯალათი ჰიმლერი.

მდგომარეობა არგენტინაში

ნიუ-იორკი, 5 ოქტომბერი (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო გადმოგცემს, მონტევიდეოში მიღებულია იმ მემორანდუმის ერთი ცალი, რომელიც არგენტინის სოციალისტური პარტიის აღმასრულებელმა კომიტეტმა გადასცა პრემიერ რამირესს. ეს მემორანდუმი არ გამოქვეყნებულა ბუენოს-აირესში. იგი შეიცავდა მოთხოვნას, რომ არგენტინამ განახორციელოს საამერიკათაშორისო სოლიდარობის პოლიტიკა.

ბუენოს-აირესის გარეუბნის ხორცის კონსერვის ქარხნებში გაფიცულია 30 ათასამდე მუშა. ქარხნების ტერიტორია დაკავებული აქვთ ჯარებს. გაფიცულია აგრეთვე 80 ათასი მშენებელი მუშა. გაფიცულთა შორის ფართოდ ვრცელდება ფურცლები, რომლებიც არგენტინის მთავრობას მოუწოდებენ დაადგეს გაერთიანებულ ერებთან სოლიდარობის გზას.

ინგლისის ავიაციის ახალი თავდასხმა ფრანკფურტზე

ლონდონი, 5 ოქტომბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგცემს, ინგლისის ავიაციამ 4 ოქტომბერს ღამით ახალი თავდასხმა მოაწყო ფრანკფურტზე.

გერმანიაზე გუშინდელი თავდასხმის დროს მოკავშირეთა ავიაცია მტრის ძლიერ წინააღმდეგობას წააწყდა და საჰაერო ბრძოლებში ჩამოაგდო მტრის 56 გამანადგურებელი. მოკავშირეებმა 17 თვითმფრინავი დაჰკარგეს.

3 ოქტომბერს ღამით კასელზე თავდასხმისას ქალაქს დააყარეს 1.500 ტონა ბომბი.

გერმანელთა ავიაციამ 4 ოქტომბერს ღამით დაბომბა სამხრეთ ინგლისის ცალკეული პუნქტები. ზარალი უმნიშვნელოა. მსხვერპლი არ არის.

სამხედრო სესხის წარმავლება ამერიკის შეერთებულ შტატებში

ვაშინგტონი, 5 ოქტომბერი (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსთა მინისტრმა მორგენთაუმ გამოაცხადა, რომ 9 სექტემბერს 15 მილიარდი დოლარის რაოდენობით გამოშვებული მესამე სამხედრო სესხი, 2 ოქტომბრამდე მიღებული ცნობების თანახმად, რეალიზებულია 16.887 მილიონი დოლარის რაოდენობით. საბოლოო ცნობები სესხის გავრცელების შესახებ მიღებული იქნება ორი კვირის შემდეგ.

მორგენტაუს სიტყვითი, სესხის წარმატება იმას მოწმობს, რომ ამერიკელ ხალხს ესმის ომის მიზნები და აღსავსეა გადაწყვეტილებით მიაღწიოს გამარჯვებას.

ინგლისელი ბანდიტები ინდოეთში

ბომბეი, 5 ოქტომბერი (საკდესი). ინდოეთის ინფორმაციის ბიურო ინდოეთის ეროვნული ბანკის ბომბეის ფილიალის ინფორმაციას ავრცელებს: ინგლისელ ბანდიტებს ინდოეთში ბანკნოტების ბეჭდვა ჰქონიათ ორგანიზებული. ბანკნოტებზე ბეჭდავენ ინდოეთის ეროვნული ბანკის ბეჭედს. ინგლისელ ბანდიტებს ინდოეთში ბანკნოტების ბეჭდვა ჰქონიათ ორგანიზებული. ბანკნოტებზე ბეჭდავენ ინდოეთის ეროვნული ბანკის ბეჭედს. ინგლისელ ბანდიტებს ინდოეთში ბანკნოტების ბეჭდვა ჰქონიათ ორგანიზებული. ბანკნოტებზე ბეჭდავენ ინდოეთის ეროვნული ბანკის ბეჭედს.

ინგლისელ-ამერიკელ ავიაბომბდამშენთა ბრძოლა

ლონდონი, 5 ოქტომბერი (საკდესი). ინგლისელ-ამერიკელ ავიაბომბდამშენთა ბრძოლა ინგლისელ-ამერიკელ ავიაბომბდამშენთა ბრძოლა ინგლისელ-ამერიკელ ავიაბომბდამშენთა ბრძოლა ინგლისელ-ამერიკელ ავიაბომბდამშენთა ბრძოლა ინგლისელ-ამერიკელ ავიაბომბდამშენთა ბრძოლა ინგლისელ-ამერიკელ ავიაბომბდამშენთა ბრძოლა ინგლისელ-ამერიკელ ავიაბომბდამშენთა ბრძოლა ინგლისელ-ამერიკელ ავიაბომბდამშენთა ბრძოლ